



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დაბა ქედა



N 48  
25/05/2017

48-04-4-201705251819



**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი  
სხდომის მოწვევის თაობაზე**

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და 42-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**:

1. მოწვეული იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/08 მორიგი სხდომა 2017 წლის 29 მაისს დღის 11:00 საათზე.

2. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/08 მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი, თანახმად დანართი №1-სა.

3. დანართი №1 წარმოადგენს ბრძანების განუყოფელ ნაწილს.

4. ბიუროს სხდომის მოწვევის შესახებ ეცნობოს საკრებულოს ბიუროს წევრებს.

5. ამ ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალამემ.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მაისის №01-06/08 მორიგი სხდომის  
დღის-წესრიგის პროექტი:

1. „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი : ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარის მოადგილე გურამ ანანიძე  
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა  
და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

2. „ ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის 2017 წლის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის №11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების,  
კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა  
და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე  
თანამომხსენებელი: სოციალურ საკითხთა კომისიის  
წევრი ვლადიმერ მიქელაძე